საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 03/3582-18 "02" 11 2018 წ

შპს „თელნეტს"

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2018 წლის 8 ნოემბერს, 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ზოჭორმის ქ. N50/18, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") სხდომა, სადაც განიხილება შპს „თელნეტისთვის" ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე საკითხი, მის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტების, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის N144/22 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" კომისიის 2016 წლის 11 თებერვლის N95/19 გადაწყვეტილების, „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ" კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის N12 დადგენილების დარღვევის გამო (საფუძველი: კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2018 წლის 3 ოქტომბრის N შ-10/5081-18 მოხსენებითი ბარათი და კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითერების დაპარტამენტის 2018 წლის 19 ოქტომბრის N შ-10/5440-18 სამსახურებრივი ბარათი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია 2018 წლის 2 ნოემბერი. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, შპს „თელნეტს" უფლება აქვს კომისიას წარუდგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2018 წლის 3 ოქტომბრის N შ-10/5081-18 მოხსენებითი ბარათი -1 ფურცი;
2. კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითერების დაპარტამენტის 2018 წლის 19 ოქტომბრის N შ-10/5440-18 სამსახურებრივი ბარათი -1 ფურცი.

კომისიის ადმინისტრაციის უფროსი **იოსებ ხარებავა**

ბ-ნ პ. ბერიას

გთხოვთ, განიხილოთ და მოქმედი
კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოოთ
საქმისწარმოება

კ. ბექაური
03.10.2018

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ კახი ბექაურს

ამავე კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსის
ნათია დევდარიანის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო კახი,

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 02 ოქტომბრის მდგომარეობით, კომისიის უწყებრივ რეესტრში რეგისტრირებული რიგი ავტორიზებული/ლიცენზირებული პირები (მცდელობის მიუხედავად) სამი და მეტი თვის განმავლობაში არ ასრულებენ კანონისმიერ ვალდებულებებს, კერძოდ, არ წარმოადგენენ რეგულირების საფასურის გაანგარიშების 1,9 ფორმებს და კომისიაში წარმოდგენილი გაანგარიშებების შესაბამისად გააჩნიათ რეგულირების საფასურის დავალიანება, იხ. ცხრილი:
ცხრილი

N	კომპანია	ს/კ	რეგულირების საფასურის გაანგარიშების 1,9 ფორმების წარმოუდგენლობა	რეგულირების საფასურის დავალიანება წარმოდგენილი გაანგარიშების ფორმების შესაბამისად (ლარი)
1	თელნეტი	431165856	2018 წლის ივლისი და აგვისტო	22,66
2	[illegible]	[illegible]	2018 წლის ივლისი და აგვისტო	
3	[illegible]	[illegible]	2018 წლის ივლისი და აგვისტო	
4	[illegible]	[illegible]	2018 წლის ივლისი და აგვისტო	[illegible]
5	[illegible]	[illegible]	2018 წლის ივლისი და აგვისტო	[illegible]
6	[illegible]	[illegible]	2018 წლის ივნისი, ივლისი და აგვისტო	
7	[illegible]	[illegible]	2018 წლის ივნისი, ივლისი და აგვისტო	
8	[illegible]	[illegible]	2018 წლის ივნისი, ივლისი და აგვისტო	
9	[illegible]	[illegible]	2018 წლის ივლისი და აგვისტო	
10	[illegible]	[illegible]	2018 წლის ივლისი და აგვისტო	
11	[illegible]	[illegible]	2018 წლის ივლისი და აგვისტო	

გთხოვთ, წარმოდგენილი ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისთვის გადასცეთ კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს.

დანართი 12 ფურცელი.

პატივისცემით,

ნ. დ

ნათია დევდარიანი
03/10/2018

Თ-10/5081-18
03 10 18
11:12

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის აპარატის სამართლებლივი
დეპარტამენტის სპეციალისტს

თამარ გოშუას

ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული
განვითარების დეპარტამენტის უფროსის

ქეთევან რეხვიაშვილის

სამსახურებრივი ბარათი

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 19 ოქტომბრის მდგომარეობით ავტორიზებულ პირ "თელნეტს" კომისიის საერთო სტატისტიკურ ბაზის მიხედვით წარმოსადგენი აქვს:

- 2017 წლის ფორმა 1.2 (თანამშრომლები);
- 2018 ივლისიდან ფორმა 1.9-(რეგულირების გაანგარისება);
- 2018 წლის მაისი, ივლისის და აგვისტოს ფორმა 1,1 (შემოსავლები)

ამასთან დამატებით გაცნობებთ, რომ 2018 წლის ივნისში ფორმა 1.1-ში (შემოსავლები) წარმოდგენილი აქვს ნულოვანი მონაცემები. ხოლო 2018 წლის აპრილამდე შესაბამის ფორმებში წარმოადგენდა რიცხვობრივ მონაცემებს. ასევე დღეის მდგომარეობით კომპანიას ავტორიზირებული პირები არ მოიხსენიებენ კონტრაჰენტად.

პატივისცემით,

ქ. რეხვიაშვილი

შემოსულია № 7-10/5440-18
19. 10. 2018
1 ფურცელი